საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-08/185

ქ. ბათუმი 28 -- დეკემბერი, 2018 წ.

2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'' საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018-2019 სასწავლო წლის **გაზაფხულის სემესტრში** ბსუ-ს სამივე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის სემესტრული საფასურის გადახდა **(ადმინისტრაციული რეგისტრაცია)** შესაძლებელია განხორციელდეს **3 (სამ) ეტაპად**, შემდეგნაირად:

ა) I ეტაპზე - 2019 წლის 11 თებერვლიდან 25 თებერვლის ჩათვლით გადახდილი უნდა იქნეს **სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 50%;**
ბ) II ეტაპზე – 2019 წლის 8 აპრილიდან 15 აპრილის ჩათვლით გადახდილი უნდა იქნეს არანაკლებ სემესტრული **სწავლის საფასურის 30%;**
გ) III ეტაპზე – 2019 წლის 27 მაისიდან 3 ივნისის ჩათვლით სრულად უნდა დაიფაროს სემესტრული სწავლის საფასური **(დარჩენილი 20%).**

2. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა,

კურსი. იმისათვის, რომ გადახდილი სწავლის/კრედიტების საფასური ავტომატურად აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სტუდენტურ პორტალზე (დაეგზავნოს სტუდენტებს შეტყობინებები).
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**